საქართველოს მთავრობის განკარგულება

№222 2020 წლის 6 თებერვალი ქ. თბილისი

რიგი ღონისძიებების გატარების შესახებ

1. „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებისა და კაპიტალის ფორმირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230 დადგენილებით დამტკიცებული „სს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, შპს „კლინიკების განვითარების კომპანიამ“ (ს/ნ: 405192795) სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცეს შპს „კლინიკების განვითარების კომპანიის“ კუთვნილი:

ა) შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ (ს/ნ: 204871594) 100%-იანი წილი;

ბ) შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ს/ნ: 205165453) 100%-იანი წილი;

გ) სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ (ს/ნ: 405001466) აქციათა 100%;

დ) ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე, №14-ში (ნაკვეთი 08/026) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 16 772 კვ. მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.14.008.026) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები;

ე) ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, №29-ში (ნაკვეთი 07/081) განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, საერთო ფართობით – 13 239,49 კვ. მ (მათ შორის, სარდაფი – 3 330,02 კვ. მ, I სართული – 3 352,31 კვ. მ, II სართული – 3 395,96 კვ. მ, ტექნიკური სართული – 3 161.2 კვ. მ); შენობა-ნაგებობა №10, საერთო ფართით – 109,47 კვ. მ, №11 – 13.92 კვ. მ, შენობა-ნაგებობები: №2, №3, №4 (გარდა საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული 458,96 კვ. მ ფართისა), საერთო ფართობით – 50 929,09 კვ. მ (მათ შორის, ტერასა – 2 952.09 კვ. მ), ასევე ნაგებობები: №5, №6, №7, №8, №9, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18 და №19) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.081).

2. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს“ (ს/ნ: 204871594) 100%-იანი წილი, შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ (ს/ნ: 205165453) 100%-იანი წილი და სს „უნივერსალური სამედიცინო ცენტრის“ (ს/ნ: 405001466) აქციათა 100% შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არსებობის ვადით, სიმბოლურ ფასად – 1 (ერთი) ლარად, პირდაპირი გადაცემის ფორმით, მართვის უფლებით გადაეცეს ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს (ს/ნ: 402157330).

3. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რათა ა(ა)იპ – საქართველოს სამედიცინო

ჰოლდინგს (ს/ნ: 402157330) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, სარგებლობაში გადასცეს:

ა) ქ. თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე, №14-ში (ნაკვეთი 08/026) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 16 772 კვ. მ მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.14.14.008.026) და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები;

ბ) ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, №29-ში (ნაკვეთი 07/081) განთავსებული შენობა-ნაგებობა №1, საერთო ფართობით – 13 239,49 კვ. მ (მათ შორის, სარდაფი – 3 330,02 კვ. მ, I სართული – 3 352,31 კვ. მ, II სართული – 3 395,96 კვ. მ, ტექნიკური სართული – 3 161.2 კვ. მ); შენობა-ნაგებობა №10, საერთო ფართით – 109,47 კვ. მ, №11 – 13.92 კვ. მ, შენობა-ნაგებობები: №2, №3, №4 (გარდა საპატრიარქოს საკუთრებაში არსებული 458,96 კვ. მ ფართისა), საერთო ფართობით – 50 929,09 კვ. მ (მათ შორის, ტერასა – 2 952.09 კვ. მ), ასევე ნაგებობები: №5, №6, №7, №8, №9, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18 და №19) და მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.10.15.007.081).

4. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „კლინიკების განვითარების პროექტის განხორციელების მიზნით კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 ივლისის №1588 განკარგულება.

5. ამ განკარგულების მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევიდეს ამავე განკარგულების პირველი პუნქტის შესაბამისად ამავე პუნქტით გათვალისწინებულ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან.

6. სს „საპარტნიორო ფონდმა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**